№ 9 (1331)
მაისი 1970

# ნიანგი

გამოცემის 47-ე წელი
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. ზ. ლომიძისა


1941. 22.VI.
წითელი არმიის
მთავარი სარდლობის ცნობა
1941 წლის 22 ივნისისათვის


1945. 9. V
გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო
კაპიტულაციის აქტის ხელმოწერა
აქტი სამხედრო კაპიტულაციის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეშლილის



# ჩანაწერები

მე არ დავეძებ სახელსა და დიდებას!

ეფრეიტორ ადოლფ ჰიტლერის პარტიაში ჯერ მხოლოდ შვიდი წევრია, მაგრამ ვინც წინ აღგვიდგება, გავსრეს, მოვსპობ!

გერმანია ილუპება... იჩაგრება... ახრჩობენ... ართმევენ კოლონიებს... გიმნაზიაში ვერ ვისწავლე, რადგან მხატვრობა მიტაცებდა. ჩემი მასწავლებლები კონგენიალური იდიოტები იყვნენ. გამოცდაზე მკითხეს, მხატვრობის რომელ მიმართულებას ეკუთვნითო. მე თვითონ ვქმნი საკუთარ მიმართულებას-მეთქი! ვერ გაიგეს და გამომაგდეს!.. საყოველთაო განათლება შხამია, თანაც სახიფათო და გამხრწნელი. მე თვითონ აღვზრდი ახალგაზრდობას, რომლის წინაშეც შეძრწუნდება კაცობრიობა!

მე ადამიანი ვარ, მაგრამ ყოველგვარი ადამიანური უცხოა ჩემთვის, ახლა ძაღლებზე ვფიქრობ... ძალიან მიყვარს ძაღლები!..

მე არ მიყვარს გოეთე... ხალხი უნდა გამოაჩერჩეტო, რომ მხარი დაგიჭიროს... მე მინდა, შევქმნა ორდენი, საიდანაც გამოვლენ ღმერთკაცთა მეორე საფეხურის ადამიანები!.. ნამდვილი გერმანია მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როცა ის ევროპად იქცევა... ევროპაში იქნება ერთი დედაქალაქი — ბერლინი!.. განგებამ სწორად დაიტრაბახა, რომ მე ვიქნები კაცობრიობის უდიდესი მხსნელი. მე მწყურია დიდება!..

გერმანელთა მსოფლიო იმპერიის შესაქმნელად საჭიროა რაღაც ახალი წარღვნის მსგავსი, რათა წაილეკოს მატლებივით გამრავლებული რასები. აი, რა მინდა მე!.. ქრისტიანიზმი ბოლშევიზმის პროტოტიპია. წმინდა პავლეც ბოლშევიკი იყო... მე არასოდეს მიხმარია ლეღვის ფოთოლი! მიზანი ამართლებს საშუალებას: მოსპეთ, გაანადგურეთ, ფეხქვეშ გათელეთ, არ უნდა იგრძნო სინდისის ქენჯნა! მე ვათავისუფლებ ადამიანებს იმ დამამცირებელი ქიმერისაგან, რომელსაც სინდისი ეწოდება! ყველაფერზე პასუხს ვაგებ მე — თქვენი ფიურერი!

ხომ დამცინოდით?!. ა?!. ხომ ხითხითებდით ჩუმ-ჩუმად?!. გიჟს, გაუთლელსა და გაუნათლებელ ბრიყვს მეძახდით... ტლუ პროვინციელს... არ მოგწონდათ ჩემი ტლანქი მანერები, არა? ახლა გიჩვენებთ, ვინ ყოფილა ადოლფ ჰიტლერი!..

ჩვენს ხელთაა ძალაუფლება და შეგვიძლია ვაკეთოთ ყველაფერი, რაც გვინდა... მიწა, რომელზედაც ვცხოვრობთ, გერმანელმა ხალხმა უნდა დაიპყროს მახვილით... ებრაელობა უნდა მოისპოს, როგორც რასა... ჩემი ტექნიკაა ავტომატური გაზკამერები — ორი ათასამდე ქალი, ბავშვი და მოხუცი თითო სეანსზე. ადამიანები პლანეტის ბაცილებია... მათ მოუხდებათ კონვეირებული „აბაზანები“ შხაპებით. საჭიროა ბავშვთა სიმრავლის ლიკვიდაცია. ბავშვების დაბადების რეგულირება უნდა ხდებოდეს სტერილიზაციის საშუალებით... მე ავაშენებ მასობრივი ლიკვიდაციის სტაციონარულ ნაგებობებს — სიკვდილის ბანაკებს, მექანიზებულ კრემატორიუმებს, სადეზინფექციო „კომბინატებს“, „ქირურგიულ კაბინეტებს“, „ჰისტოლოგიურ ლაბორატორიებს“, „გარდერობებს“, „ბუფეტებს“, სადაც მოხდება პაციენტთა ფილტრაცია!.. ოქროს კბილები და ბეჭდები რაიხსბანაკს, თმები —ლეიბებისათვის. ადამიანი — ესაა კვადრატული ფესვი ნოლიდან!..

ჩვენ უნდა ვმართოთ ევროპა და დავიბრუნოთ კოლონიები... ჩემს წინაშეა ამოცანა: დავჭრა ეს უზარმაზარი ნაზუქი — საბჭოთა კავშირი, როგორც მე მინდა! მე მოვსპობ მოსკოვს და იქ სადაც ეს ქალაქია, მოვაწყობ სანაგვე ადგილს... მოსკოვის ტერიტორიაზე იქნება ტბა, რომელიც სამუდამოდ შთანთქავს რუსეთის დედაქალაქს... ჩემი უზარმაზარი იმპერიის ცენტრში მე მოვათავსებ დიდ გერმანიას, ავსტრიას, ბოჰემიას, მორავეთს, პოლონეთს, ბალტიისპირა ქვეყნებს, უკრაინას, ვოლგის სანაპიროებს და საქართველოს!..

არავითარი ზამთარი არ იქნება რუსეთში! მე გაგონებაც არ მინდა ამისი...

სტალინგრადის ამბების პასუხისმგებლობა მარტო მე ერთს მაწევს კისერზე... პაულიუსი მოღალატეა... ნაგავი... მხდალი... ლაჩარი, ზიზღისა და ფურთხის ღირსი!

რამდენიმე ათასი ადამიანის სიკვდილი არაფერს ნიშნავს ისტორიული პროცესების დროს. ევროპაში 20 მილიონამდე კაცი მოვსპე... 30 მილიონი კიდევ უნდა მოვსპო...

შეერთებულ შტატებში მე უზრუნველვყოფ გერმანიის ხელმძღვანელობის როლს. მე იქ საკუთარი მოიერიშეები მეყოლება...

ჩვენ ბნელეთიდან მოსული ადამიანები ვართ... ჰი... ჰი... ჰი... ის აქ იყო ახლა... აქ!.. აი, აქ!.. აგერ! აგერ!.. კუთხეში! ვინ არის ის?.. ვინ არის?..

ჩანაწერები შეკრიბა
**ქართლოს ფონ კასრფახერმა**

---

ბერტოლტ ბრეხტი

## ჩემი ლვიძლი ძმა იყო მფრინავი

ჩემი ლვიძლი ძმა იყო მფრინავი,
ერთხელ სამხედრო უწყება მისცეს,
სასწრაფოდ შეკრა ბარგი-ბარხანა
და მიაშურა სამხრეთის მიწებს.

ჩემი ლვიძლი ძმა დამპყრობელია,
ხალხს კი სიმცირე აწუხებს მიწის,
დიდი ხანია, რაც ჩვენი გული
მიწის დაპყრობის წყურვილით იწვის.

აღმოსავლეთში დაიპყრო მიწა,
მისი სამეფო ძალზე მყარია:
სიგანით — მეტრი, სიგრძით — საჟენი,
სიღრმით ადლი და ნახევარია.

გერმანულიდან თარგმნა
ა. სვანმა

---

# გერმანელები თბილისში

1943 წლის მარტში, როცა ქალაქ ორჯონიკიძესთან ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ, თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში იდგმებოდა ჩემი პიესა — „ვალია სოკოლოვა“.

ერთხელ, დილის 10 საათზე, აღნიშნულ თეატრში მოსწავლეთათვის დანიშნული იყო „ვალია სოკოლოვას“ წარმოდგენა.

დილის 9 საათი იქნებოდა. სპექტაკლის სანახავად მივდიოდი. ქუჩაში დავინახე, რომ თეატრისკენ ჩვენს ჯარისკაცებს გერმანელი ტყვეები მიჰყავდათ. ისინი თავჩაქინდრულნი, უხალისოდ მიაბიჯებდნენ.

კულისებში შევედი და მსახიობებს ვუთხარი:

— ბიჭებო! გერმანელ ფაშისტთა ტყვეები მოდიან, წამოდით, ნახეთ ნამდვილი გერმანელები!

ამის გაგონებაზე მსახიობები არც დაფიქრებულან: აბა, ჩქარაო, და გერმანულ სამხედრო ფორმაში სუფთად გამოწყობილმა გრიმიანმა მსახიობებმა თეატრის მთავარ შესასვლელთან მოიყარეს თავი. ძალიან უნდოდათ ენახათ ისინი, ვისაც თვითონ ანსახიერებდნენ. ყველას წინ სურდა გაჩერება და, ერთმანეთის ძიძგილში, შიგ ქუჩაში, რუსთაველის პროსპექტზე ამოჰყვეს თავი.

როცა ტყვეები თეატრს მიუახლოვდნენ და ეს ჯგუფი დაინახეს, ჯერ გაოცდნენ, მერე თვალები გაუბრწყინდათ, ალბათ, იფიქრეს: ჩვენები უკვე თბილისში შემოსულანო და ხელის ქნევითა და შეძახილებით მიესალმნენ მსახიობებს. მაგრამ ვერ გაერკვნენ: „თანამემამულენი“ ხმას არ იღებდნენ.

გერმანელმა ტყვეებმა დაიწყეს ერთმანეთში ლაპარაკი, ფეხები უკან რჩებოდათ...

ტყვეებმა სვლას უკლეს. სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა მსახიობმა, რომელსაც ნახევარი ულვაში მომძვრალი ჰქონდა, ულვაშს ხელი სტაცა, მოიგლიჯა და ჯიბეში ჩაიდო.

უკან ხედვით კისერმოღრეცილმა ტყვეებმა ხელი ჩაიქნიეს. მიხვდნენ, რომ საიმედო არაფერი იყო და სახემოღუშულებმა ზანტად განაგრძეს გზა.

კ. გოგიაშვილი



## ბერლინის პოლიკლინიკაში

— მაშ, თქვენ წელკავსა და სახსრების მტვრევას უჩივით, პოლკოვნიკო? გამიგონია, ყირიმის ჰავა უხდება ასეთ ავადმყოფობასო.
— ნუ გამახსენებ... სწორედ ყირიმმა გამიჩინა ეს ტკივილები!





— ფიურერს არ შეუძლია თქვენი მიღება, რადგან ვალერიანის წვეთებს ლებულობს!

## ნინათგრძნობა

ჰიტლერის სურათი (ჰიტლერს): ჩემო პატრონო, გული მიგრძნობს, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება ჩვენს ცხოვრებაში.
ჰ ი ტ ლ ე რ ი: როგორ?
ს უ რ ა თ ი: მალე მე ჩამომიღებენ და შენ ჩამოგკიდებენ!





გ ე ბ ე ლ ს ი: გეფიცებით, ფიურერ, ეს ნამდვილად გამოდგება — ფრონტიდან გამოქცევას ვერ მოახერხებს!



— აქ რას უზიხარ, შე არამზადავ, იმალები განა?!.
— როგორ თუ რას ვუზივარ, ბატონო ლეიტენანტო, მე ვიმყოფები ჩემს ოცეულში!



ფ ა შ ი ს ტ ი გ ე ნ ე რ ა ლ ი: რაღა
ლა ხელებში იჭრებით?
ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი: ვისაც გულში
თავში მოხვდა, ისინი ადგილზე დარჩნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩრდილოეთის** ზღვაზე ხდება სასწაული ათასგვარიო, თქვა ჰაინემ. თავს ნებას ვაძლევთ, ერთი მათგანი ჩვენც ვიხილოთ:

წარმოიდგინეთ უკაცრიელი კუნძული და მის კლდოვან სიღრმეში გაჩაღებული ქურა. წარმოიდგინეთ? დანარჩენი ადვილია.

ვერმახტის დამთხვეულმა გენერლებმა სებასტიან ბრანტის „გიჟების გემი" გაიხსენეს და ყველასაგან მიტოვებულ ძველ ვერფებს მიაშურეს. მიწის შრეებიდან, ზღვათა ფსკერიდან თუ მუზეუმის სარდაფებიდან ამოუზიდავთ ნაომარ გემთა ნამუსრევი, ახალი ომის ცეცხლის ქურაში გაუტარებიათ, შეუკოწიწებიათ და მიუღიათ რაღაც საოცარი ხომალდი, რომლითაც ფარაონები საიქიოში მიემგზავრებოდნენ.

— რა დავარქვათ? — ეკითხა ესესელთა გადარჩენილმა ობერმა.

— „რევანში"! — შესძახა ექს-გენერალმა როზენკრანცმა.

ეს აზრი ყველას მოეწონა. ბრანტის პოემას ხორცი შეესხა.

ვინც შეძლოა თესავს, მისთვის ის გემი ზედგამოჭრილია: ჩაჯდება და ზუსტად დანიშნულების ადგილზე მიიყვანს.

— ახლა საით? — ეკითხება უფროსებს მესაჭე.

— წინ! — ბრძანებს ექს-გენერალი როზენკრანცი. — ჩვენ ომითვე უნდა დავიბრუნოთ ის, რაც ომში დავკარგეთ!

— თავისი არსებობის ხუთი ათას ხუთასი წლის განმავლობაში კაცობრიობამ 14 000 ომი გადაიხადა და ამ ომებში გაწყდა მეტი ადამიანი, ვიდრე ამჟამად პლანეტაზეა, გენერალო: სამი მილიარდ ექვსასი მილიონი...

— დაჰკიდეთ პესიმისტი ანძაზე!

— გენერალო, ჩვენს გემს ანძა არა აქვს.

მაშინ გადააგდეთ მესაჭე ზღვაში!

— გადამაგდეთ, გენერალო, — იცინის სულელი მესაჭე, — სულერთია, ჩვენს გემს საჭე არა აქვს.

— სამაგიეროდ აქვს ტრიუმები. დატვირთეთ!

სულელთა ხომალდს ვერმახტის იარაღით ტვირთავენ.

გემი ჭრიალებს. კაპიტანი დაღლილი სახით შესცქერის ტანკებს და ნაღვლიანად ამბობს:

— ბრეხტმა თქვა...

— ვინ არის ბრეხტი? — აწყვეტინებს გენერალი. — ობერშტურმფიურერი?

— ბერტოლტ ბრეხტი მწერალი იყო.

— ოჰ, მწერლები ხომ ჰონორარისათვის წერენ!

— ასე ამბობენ რეგვენნი...

— მაინც რა თქვა ბრეხტმა?

— ბრეხტმა თქვა: „დიდმა კართაგენმა სამი ომი გადაიხადა. პირველი ომის შემდეგ ის ჯერ კიდევ ძლიერი იყო. მეორე ომის შემდეგ — ჯერ კიდევ დასახლებული. მესამე ომის შემდეგ — ნაქალაქარი".

— შენ რეგვენი ხარ!

— მაშ, იმედია, კანცლერი გავხდები.

კაპიტანს არ სწყენია. მხოლოდ გაიცინა. სხვებმაც გაიცინეს.

გემზე ქეიფია. ღრეობენ გიჟები, იცინიან მეზღვაურები და ჭრიალებენ გემის ნაწილები:

— მე ქსერქსეს გემის კიჩო ვარ, მამაცმა თემისტოკლემ რომ ჩაძირა სალამინთან.

— მე კი იმ გემის ქიმისა ვარ, ნერონის ბრძანებით რომ ძირი ჩაუხვრიტეს, რათა დედამისი და ერთგული მეგობრები ჩაეძირათ...

— ნერონი... ნერონი... ნერონი! — თითქოს რაღაცას იგონებსო, დუდუნებს გემის კილი. — ეს ის მანიაკი ხომ არ იყო, თავი რომ უდიდეს არტისტად წარმოესახა, რომი გადაწვა და ქრისტიანებს გადააბრალა, უდანაშაულო ხალხი გაწყვიტა? რაღაც ამდაგვარი ხომ არ მოხდა რაიხსტაგში? თუმცა ეს ამბავი, მაგონდება, უკვე მოძველებულია...

— შენ ვინ ხარ ასეთი ბრძენი? — ეკითხება „ტიტანიკის" მკერდის ფიცარი.

— მე იმ ტრანსპორტის ნამუსრევი ვარ, ზღვის ჯადოქარმა იაროსლავ იოსელიანმა რომ ჩაძირა.

საერთო ღრიანცელში ერთმა სიმღერა წამოიწყო:

**უტვინოდა ცხოვრება განა ვის ეკადრება?**
**ღვინო არის...**

— ასე კი არა! — შეუსწორა იმავე გენერალმა: „ომი არის სიცოცხლე".

საიდანღაც ოილენშპიგელი გამოჩნდა, გენერალ შტუმპფს ეკითხება:

—რას კითხულობ? ამ დავიდარაბაში კითხვის თავი გაქვს?

— რეგვენო! ვერა ხედავ? ესაა „მაინ კამპფ", ჩვენი ბიბლია...

— ეჰ, ბიბლია... მაინ კამპფ, დაინ კამპფ, ზაინ კამპფ — შედეგი ერთია: „აინ კრამპფ" — კრუნჩხვა... გახსოვს, რა მოუვიდა ამის ავტორს?

— მე ფიურერზე ჭკვიანი ვარ! მე წავიყვან...

ფიურერზე ჭკვიანს სიტყვის დამთავრება არ დასცალდა, გემბანზე რვაფეხა სპრუტის საცეცი გამოჩნდა და ექს-გენერალი შტუმპფი, თავის ბიბლიასთან ერთად, ზღვაში გაიტაცა.

ჭრიალებს გემი, ხვრინავს რევანშისტი გენერალი, ხვნეშიან მედაფეები, ხრიალებენ ხრახნები, ღრიალებენ მეხომალდეები, მძიმდება კორპუსი, ძვირდება სანოვაგე, ფერი მისდის სვასტიკას, იცრიცება ვერმახტის ალამი, ოფლად იღვრებიან ფიურერის დაშლილი ნაწილები, სამსავე სტიქიას რომ შერევიან — ჰაერს, წყალსა და მიწას... ტრიალებენ თოლიები, შრიალებენ ჩაყვითლებული ფურცლები, ხვრინავს გებელსი, ბრდღვინავს გერინგი — „არარაობა" რად დამარქვაო ხუმარა ბედმა, და ღმუის რიბენტროპი: „რევანში! რევანში!"

დემოკრატიული ბერლინის ცაში კი აღმართულა ბრძენი ბრეხტის ქანდაკება, დასავლეთს გასცქერის და ქვის ბაგეებით იმეორებს ფატალურ სიტყვებს, რაც რეჟისორის მარჯვენით დაწერა:

— კართაგენი! გახსოვდეს, გერმანიავ: მესამე ლაშქრობის შემდეგ კართაგენი აღარ არსებობდა...

გემი კი ჭრიალით მიდის... საით? ფსკერისაკენ!

**აკაკი გელოვანი**

# ზღაპარი მღებავზე

(სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღატაკი მღებავი, სურათებს ხატავდა და არავინ ყიდულობდა.

იფიქრა, იფიქრა და თქვა: თუ ღმერთმა ხატვის ნიჭი არ მომცა, მოდი, დედამიწას სხვანაირად დავხატავ, მე თვითონ გავხდები ღმერთიცა და ფიურერიცო.

მოკრიბა, რაც თავის სახელმწიფოში ბოროტი ქოსატყუილები დაეხეტებოდნენ, მიწისქვეშა ბუნაგში შეკრიბა და ჰკითხა:

— ვინ არის ყველაზე დიდი, ყველაზე ბრძენი და ყველაზე უძლეველიო?

— შენაო! — იცრუეს ქოსატყუილებმა.

— ძალიან კარგიო. აი, როგორი მსოფლიოს რუკა დავხატეო. მოვსპოთ სხვა ხალხები დედამიწაზე, დავხოცოთ ბავშვები, ქალები, მოხუცები და მარტო ჩვენ დავრჩეთო.

— ხომ არ გაგიჟდიო? — შესძახა ერთმა ეშმაკმა ქოსატყუილამ, რომელსაც ფიურერის სიგიჟის ცნობა სეიფში ედო.

— არაო.

— მაშ, რას აპირებო?

— აქეთ ევროპას წიხლსა ვკრავ,
იქით აზიას ძვრას ვუზამ,
სენას, ვოლგას და დუნაის
დავაგუბებ და ყლაპს ვუზამო!

— აბა, შენ იციო!

— თუ გინდათ, რომ გავიმარჯვოთ, ერთი ხბო დამიკალით, გამიტყავეთ, მერე, რაც დუნიაზე წიგნებია, დასწვით და ფერფლი ქარს გაატანეთო.

ასეც მოიქცნენ. მარტო ის წიგნი დატოვეს, ფიურერმა ხბოს ტყავის ფურცლებზე რომ დაწერა და შიგ ბოროტების თილისმა ჩადო.

ქვეყანა ომის ხანძარმა მოიცვა.

პირველ დღეს ევროპა ოდნავ შეარყია. მეორე დღეს ზანზარი დააწყებინა.

მერე სენა და დუნაი დააგუბა, მაგრამ ვოლგა შორს იყო და ჯერ არც არავის დაეგუბებინა.

ფიურერმა ჯავშნიანი გველეშაპი გაგზავნა ქვეყნის ასაწიოკებლად, დასარბევად და ვოლგის დასაგუბებლად. დედამიწა სახრჩობელებით მოიფინა.

გველეშაპმა იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და მოსკოვთან კი შეჩერდა.

მოსკოვში თავისუფლების, სიბრძნისა და სამართლიანობის მზე მეფობდა. საზარელ გველეშაპს მოსკოვთან ტყავი გააძვრეს, გაწყდა მისი სახსენებელი.

ეს რომ ფიურერმა გაიგო, პირიდან სულ ნაპერწკლები სცვიოდა, თითქოს ღუმელიაო. იხმო თავისი ბოროტი ქოსატყუილები:

— საჩქაროდ ატომური ბომბები მომიმზადეთო.

წელი წელს მისდევდა, ომი კი არ თავდებოდა!

გველეშაპს ვოლგასთან იმდენი ურტყეს, იმდენი ურტყეს, რომ ხერხემალი გადაუმტვრიეს.

კიდევ ერთი-ორი წელი გავიდა და ახლა უკვე ფიურერის ბუნაგმა დაიწყო ზანზარი. კუდიანმა ყვავმა ფიურერს მოახსენა:

— შეჯავშნულმა გველეშაპმა თქვენი ჭირი წაიღოო.

საბჭოთა არმია ფიურერის ბუნაგს მიადგა და ისეთი გრიგალი, ჭექა-ქუხილი და ბაგაბუგი აუტეხა, ყურთასმენა აღარ იყო.

ფიურერი ბუნაგში ბოლთას სცემდა.

— ტყაპ! — თავზე თავისი დახატული რუკა დაეცა.

— ვაიმე! — ეტყობა, ცა ინგრევა და სიკვდილმა მომაკითხაო!

კუდიანი ყვავი მზეთუნახავ ევად გადაიქცა, მაგრამ, რადგან ორივენი დიდი არაფერი ჭკუისანი იყვნენ და ამ ქვეყანაზედაც აღარ ეცხოვრებოდათ, დასაქორწინებლად მოემზადნენ. ფიურერმა ევას, შამპანურის ნაცვლად, საწამლავი დაალევინა:

— ოხ, ევა, ატომური ბომბები მქონოდა, მაშინ ნახავდი, როგორი ბიჭი ვიქნებოდიო.

მერე საკუთარი თავი მოაკვლევინა. ხალიჩაში გაახვიეს, ბენზინი დაასხეს და დაწვეს. ფიურერის ბოროტების წიგნი კი სადღაც გადამალეს და მიწაში ჩაფლეს.

ბოროტი ქოსატყუილები დაიჭირეს, გაასამართლეს და სათითაოდ ჩამოკიდეს სახრჩობელაზე.

ასე გათავდა ეს ზღაპარი.

P. S.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ფიურერი მომკვდარიყო,
ამქვეყნად ვერ ეტეოდა,
ერთ ორმოში ლაღად იყო;
ელასა, მელასა,
ფუი, ადოლფს და ევასა;
მთქმელსა და გამგონებელსა
მშვიდობა მოგცეთ ყველასა!

P. P. S.

მზეთუნახავი ყვავები, ფიურერები ქოსატყუილები და გველეშაპი აღარ არსებობენ, ატომური და წყალბადის ბომბები კი თავზე საყრელადაა.

ქართლოს კასრაძე




ნაგვემთა მუზეუმი

ნახ. კუკრინიკსებისა.

ნახ. ვ. ფირცხალავასი



უტექსტო

ნახ დ. ზარაფიშვილისა




— აგა, შენ იცი, შვილო, თუ არ შემარცხვენ ვიეტნამში!



ნახ. ვ. ფირცხალავასი

ატომის ჩრდილქვეშ!

## დასავლეთ გერმანიაში

ნახ. ლ. სოიფერტისისა.



— ეს გენერლები, თავიანთი წარსულის გამო, წინათ ციხე-
ში ისხდნენ, ახლა სამინისტროებში სხედან.

# „ჩვენ არაფერი ვიცოდით!"

**ჰიტლერის** დროინდელი გერმანიის იუმორი — ჰანს-იოჰენეს გამმის წიგნი — გამოსცა მიუნხენის გამომცემლობა „ლისტმა". ვფიქრობთ, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავზე, ეს სევდიანი იუმორი ადამიანებს მოაგონებს გერმანიის ცხოვრების ყველაზე შავბნელ დღეებს. მოაგონებს მათ, ვისაც დაავიწყდა ისტორიის მწარე გაკვეთილი და შესატყვისი დასკვნა ვერ გააკეთა მისგან. მოვაგონებთ მათ და, ამავე დროს, ვაფრთხილებთ!...

* * *

ერთხელ, სოფლის მასწავლებლის კაბინეტში, მოხუცი გლეხი ქალი შევიდა. იგი დაინტერესდა მაგიდაზე დადგმული გლობუსით, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არაფერი ენახა. მასწავლებელმა დაუწყო გეოგრაფიის ახსნა. ქალმა ჰკითხა:

— სად არის აქ ამერიკა?

მასწავლებელმა უჩვენა.

— როგორი დიდი ყოფილა ამერიკა! რუსეთი სადღაა?

— აი, რუსეთი!

— როგორი დიდია რუსეთი! კეთილინებეთ, ბატონო მასწავლებელო, და მაჩვენეთ დიდი გერმანია!

— აი, ხედავ, ბებია? ეს პატარა ლაქა დიდი გერმანიაა!

მოხუცი კარგა ხანს დაბნეული უყურებდა ლაქას, შემდეგ განცვიფრებულმა ხმამაღლა წარმოთქვა:

— მითხარით, გეთაყვა, ნუთუ, ფიურერს გლობუსი არა აქვს?!

* * *

ადოლფ ჰიტლერმა გადაწყვიტა ნახვა ფრედისბურგის სახელმწიფო ფსიქიატრიული საავადმყოფოსი, რომელსაც ადრე უბრალოდ, საგიჟეს ეძახდნენ. ავადმყოფები ერთ რიგად მოაწყვეს და, მისალმების ნიშნად, კეთილსინდისიერად გაუწოდეს მარჯვენა ხელი. მათ გულმოდგინედ და დიდხანს წვრთნიდნენ ამ შეხვედრისათვის. მაგრამ ადოლფმა შენიშნა, რომ ზოგიერთებმა ხელი არ გაუწოდეს.

— რატომ არ მესალმებით? — უკმაყოფილოდ თქვა ჰიტლერმა.

— ჩემო ფიურერო, ჩვენ ხომ სანიტრები ვართ და არა გიჟები?!..

* * *

როგორი იყო გერმანელი ხალხის განწყობილება 1942 წელს?

ჰიტლერმა გადაწყვიტა გაეგო, რა წარმოდგენისა იყო გერმანელი ხალხი მასზე. იშოვნა პარიკი, მოიპარსა ულვაშები და ქუჩაში გავიდა. პირველივე შემხვედრი გააჩერა და ჰკითხა:

— რა წარმოდგენისა ხართ ფიურერზე?

გამვლელმა ჩურჩულით უპასუხა:

— აქ, ქუჩაში, ვერ გაგცემთ პასუხს!

მან გვერდზე გაიხმო ჰიტლერი, შესახვევში შეუხვია, შევიდა სასტუმროში, ავიდა ნომერში, საწოლის ქვეშ შეიხედა, ჩაკეტა კარები, კარადა დაათვალიერა და, რომ დარწმუნდა, იქ არავინ იყო, ბალიში დააფარა ტელეფონს, მიუახლოვდა ჰიტლერს, ფეხის წვერებზე აიწია და ჩასჩურჩულა:

— მე სიმპათიურად ვარ განწყობილი ფიურერისადმი.

* * *

გებელსი მოკვდა. საიქიოს კარებთან წმინდა პეტრემ ჯოჯოხეთში განაწესა იგი. გზის სასწავლებლად ჭოგრიტით აჩვენა ჯოჯოხეთი და მისკენ მიმავალი გზა. გებელსმა დაინახა დიდებული ბარი, სადაც ძვირფასი სასმელები დაჰქონდათ მსუბუქად ჩაცმულ გოგონებს... მაგრამ, ჯოჯოხეთში მისვლისთანავე, გებელსმა აღმოაჩინა, რომ იგი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა: ეს იყო საშინელი ტანჯვა-წამების ადგილი.

— მაშინ ის რაღა იყო, ჭოგრიტში რომ ჩანდა?

— ეს პროპაგანდაა,—მხრებისაწევით უპასუხა ეშმაკმა.

* * *

1941 წლის 10 მარტს ჰიტლერის მოადგილე რუდოლფ ჰესი თვითნებურად გადაფრინდა ინგლისში. გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მან ასეთი საქციელი ისტერიის მორიგი შეტევის დროს ჩაიდინა. ლონდონში ჰესი ჩერჩილს მიუყვანეს, ჩერჩილმა ჰკითხა:

— ა, ეს თქვენა ხართ ის შეშლილი?

— არა, — უპასუხა ჰესმა, — მე მისი მოადგილე ვარ.

* * *

ჰესს ჰკითხეს:

— რა არის პარადოქსი?

— პარადოქსია, როცა მეორე კაცი მესამე იმპერიაში პირველი იპარება.

* * *

ერთი ინგლისელი გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნდა. მას სთხოვეს, გამოეთქვა აზრი გერმანელების შესახებ.

— მოგახსენებთ, — თქვა მან, — ეს არის პატიოსანი, გონიერი და, ამავე დროს, ნაციონალ-სოციალისტი. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ერთდროულად ეს თვისებები არავის ახასიათებს. თუ გერმანელი პატიოსანი და გონიერია, მაშინ ის არ არის ნაციონალ-სოციალისტი, თუ პატიოსანია და, ამავე დროს, ნაციონალ-სოციალისტი, მაშინ ის უგუნურია, ხოლო თუ გონიერია და, ამავე დროს, ნაციონალ-სოციალისტიც, მაშინ ის უპატიოსნოა.

* * *

— რა ჰქვია მამაკაცთა ყველაზე ძვირად ღირებულ გუნდს?

— გერმანიის რაიხსტაგი. იგი წელიწადში ერთხელ იკრიბება, მარტო ნაციონალურ ჰიმნს ასრულებს და ამისათვის ყოველი მონაწილე თვეში 600 მარკას იღებს.

* * *

— ადრე საშუალოდ ვცხოვრობდით. ნაცისტების ხელში უკეთ ვცხოვრობთ. მაგრამ, გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ისევ საშუალოდ ვიცხოვრებთ!

* * *

ერთხელ ერთი გერმანელი გვიან ღამით სახლში ბრუნდებოდა. უცებ უკანიდან ვიღაცამ ღვარძლიანად ჩაუსისინა:

— შესდექი, თორემ გესვრი!

სიბნელეში რევოლვერის ლულამ გაიელვა.

— სწრაფად, საფულე! — უბრძანა უცნობმა.

— გული კი გადამიტრიალეთ და... — შვებით ამოისუნთქა გამვლელმა, — მე გესტაპოელი მეგონეთ!

* * *

მესამე იმპერიის მოქალაქეებს დღეიდან კბილებს ცხვირიდან ამოუღებენ, რადგანაც ვერავინ ბედავს პირის გაღებას.

* * *

„ათასწლოვან იმპერიად" წოდებული მესამე რაიხის დასასრულის შესახებ:

— წარმოგიდგენიათ, როგორ სწრაფად გარბის დრო? რაღაც სამ წელში ათასი წელიც უკან დაგვრჩა.

თარგმნა

ოთარ სადრაძემ


მთავარი რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი".

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.
საერთო განყოფილების 93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად 13/IV-70 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V-70 წ.
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_8$.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
შეკვ. № 1192.
უე № 02077.
ტირაჟი 129 900



295
70
КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნახ. ჯ. ლოლუასი

FO-255
1
1970
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76137




ისტორიის გაკვეთილი

— ჰიტლერი!
— არ არის!
— გერინგი!
— არ არის!
— გებელსი!
— არ არის!
— ადოლფ ფონ ტადენი!
— ვარ!
— შეგიძლიათ, წაეთრიოთ სახლში, მეცადინეობა არ შედგება!